საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-01/01

ქ. თბილისი 07 02 2020 წ.

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის
სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 10 იანვრის N03-04/01 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოხსენებითი ბარათით (N10-01/01, 15.01.2020წ.) გამოთქმული მოსაზრებების (წინადადებების) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად (N1 დანართი).
2. განისაზღვროს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების ვადად 2020 წლის 9-20 მარტი, მათ შორის საკონკურსო განცხადებების მიღება 2020 წლის 9-დან 12 მარტის (24:00 სთ) ჩათვლით .
3. განისაზღვროს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების:
   3.1. კონკურსის წესი, წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;
   3.2. ინფორმაცია ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით და თანამდებობის დაკავების პირობები, წინამდებარე ბრძანების N3 დანართის შესაბამისად.

4. დაევალოს ობსერვატორიის საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს, მზია ბარათელ-ომიაძეს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის vacancy@abao.ge გამოყენებით, ობსერვატორიის სამეცნიერო პერსონალის ინფორმირება.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

მაია თოდუა